

საინფორმაციო ომი, როგორც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების
ფაქტორი

დავით ძიძიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მედიისა და კომუნიკაციის (პრაქტიკა, კვლევა, მენეჯმენტი) სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით პაიჭაძე (სრული პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი:

აბსტრაქტი 2

შესავალი 3

თავი I.

საინფორმაციო ომის ცნება და მისი შემადგენელი ძირითადი ელემენტები 10

თავი II.

ჭორის ტრანსფორმაცია ელექტრონულ მედიასაშუალებებში 22

თავი III.

თანამედროვე საინფორმაციო ომის ხერხების ანალიზი უკრაინაში და

სირია-ერაყის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების მაგალითების მიხედვით 29

დასკვნა 50

ბიბლიოგრაფია 52

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მდგარმა გამოწვევებმა, კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა იმაზე თუ, როგორ შეიძლება ინფორმაციის მართვით საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და მანიპულირება. მოცემული ნაშრომი ასახავს იმ ტენდენციებსა და მიდგომებს, რომელიც პროპაგანდის, ზემოქმედებისა და ზეგავლენის სფეროში, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა, კონფლიქტებმა და ახალმა გამოწვევებმა წარმოშვა. ნაშრომის შექმნის მოტივაციას წარმოადგენს კვლევა იმისა თუ, რამდენად მძლავრი და ქმედითი შესაძლებლობაა საინფორმაციო ომი თანამედროვე, ინფორმაციულ ეპოქაში. ნაშრომი ცდილობს პასუხი გასცეს შეკითხვებს - რა ძირითადი თავისებურებები გააჩნია საინფორმაციო ომის წარმოებას დღევანდელ მსოფლიოში და რა მახასიათებლები აქვს მას, რა არის საჭირო წარმატებისათვის და როგორია მისი, როგორც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ერთ-ერთი ფაქტორის არსი.

ნაშრომი წარმოადგენს კვლევას, რომელიც უკრაინის აღმოსავლეთით მიმდინარე მოვლენებისა და ტერორისტული ორგანიზაცია ISIS-ის (ისლამური სახელმწიფოს) მოქმედებების შესწავლის საფუძველზე, აყალიბებს ერთგვარ მეცნიერულ ბაზისს თანამედროვე საინფორმაციო ომის, როგორც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ფაქტორის შესწავლის პროცესისათვის.

კვლევამ შედეგად აჩვენა, რომ მიუხედავად საინფორმაციო სივრცის პლურალიზმისა, საინფორმაციო ომი დღესაც რჩება საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მნიშვნელოვან ფაქტორად და მისი სპეციალისტები ოსტატურად ახერხებენ თანამედროვე ტექნოლოგიების დოქტორ იოზეფ გებელსისეულ მეთოდებთან შერწყმას, რაც მას, როგორც სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მიღწევის მძლავრ იარაღს, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას სძენს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საინფორმაციო ომი, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, ჭორი, საინფორმაციო ოპერაციები, ფსიქოლოგიური ოპერაციები, უკრაინა, ISIS,